პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! შაბათი, 7 ნოემბერი 1925 წ. წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

254 (952) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. სტრ.

## ძლიერი, კარგად გაწრთვნილი წითელი არმია მუშისა და გლეხის მშვიდობიანი შრომის თავდებია.

### წითელ მებრძოლნო! განამტკიცეთ წითელ ჯარის რიგები, მუდამ მზად იყავით ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

## მერვე წლის თავზე.

დღეს წითელი ოქტომბრის დღეა.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა დღეს მერვეჯერ დღესასწაულობენ თავის დიდ გამარჯვებას.

სულ რვა წელი. მაგრამ რამდენი შრომა, რამდენი ჯაფა, რამდენი ენერგია და ღონე დაიხარჯა ამ ხნის განმავლობაში.

რამდენი სისხლი, ცრემლი და ოფლი დაიღვარა. რამდენი სიძნელეები და დაბრკოლებები იქმნა გადალახული. მაგრამ ყოველივე ამას ფუჭად არ ჩაუვლია. საბჭოთა კავშირის მშრომელთა გმირულ ბრძოლამ და მუშაობამ გამოიღეს საუკეთესო ნაყოფი.

საბჭოთა სახელმწიფო, მუშურ-გლეხური ქვეყანა დაადგა აყვავების გზას. ოქტომბრის იდეები ხორცს ისხამენ.

ამას მოწმობს ნათლად უკანასკნელი წლების მიღწევები სამეურნეო ფრონტზე. საბჭოთა მრეწველობა, საბჭოთა სასოფლო მეურნეობა, ტრანსპორტი, ფული, წითელი კოოპერაცია და სხვა—ყოველივე ეს ვითარდება, ძლიერდება და მტკიცდება. იზრდება და მაგრდება მუშების და გლეხების კავშირი და კომუნისტური პარტიის გავლენა მათზე. საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ყოველივე დარგში, ყოველივე კუნჭულში ბრწყინავს აღორძინების და წინსვლის სხივი.

მთელი საბჭოთა კავშირი მედგრად და გაბედულად მიიწევს წინ უკვდავი ბელადი-ამხ. ლენინის მიერ დასახული გზით.

იმპერიალისტური მსოფლიო შურით შეყურებს საბჭოთა ქვეყნის წინსვლას. სოციალისტური სახელმწიფოს მიღწევები და ზრდა ძილს უფრთხობენ მას, არ აძლევენ მოსვენებას. რატომ? იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების თითეული მიღწევა, თითეული გამარჯვება—ეს არის ოქტომბრის გამარჯვება მთელ მსოფლიოში. რამდენათ მტკიცედ იქნება საბჭოთა კავშირი, იმდენად მტკიცე და შეურყეველი იქნება გამარჯვების რწმენა ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელთა გულში. ეს კარგად იცის დახავსებულ კაპიტალიზმმა და ამიტომაც არის, რომ ის კვლავ გესლსა და ცოფს ანთხევს ჩვენს წინააღმდეგ, სცდილობს ყოველმხრივ ხელი შეუშალოს ამ წინსვლას. მაგრამ რამდენიც არ უნდა ეცადოს, ის ვერრას გახდება.

მუშურ-გლეხური სახელმწიფო დღეს ძლიერია ისე როგორც არასოდეს. მის საზღვრებს იცავს ძლევა მოსილი წითელი არმია, მისი მეგობარი და მოკავშირეა საერთაშორისო პროლეტარიატი და იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული მშრომელთა მილიონები.

ჩვენ გავიზარდეთ, ჩვენ გავძლიერდით—აი რა შეგვიძლია ჩვენ ვსთქვათ ოქტომბრის რევოლიუციის რვა წლის თავზე. გაასკეცებული ძალით ჩვენ უნდა განვაგრძოთ წინსვლა სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე—აი რა უნდა დავისახოთ დღეს.

წითელი არმია წინანდულად მედგრად უნდა იდგეს ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე.

მეტის ენერგიით და ძალღონით ის უნდა შეუდგეს თავისი რიგების გასალკდევებას და გაფოლადებას.

ის მუდამ მზად უნდა იყოს ღირსეული პასუხი გასცეს გათავხედებულ მტერს.

მუდამ და ყოველთვის მას მაღლად უნდა ეჭიროს ოქტომბრის რევოლიუციის წითელი დროშა.

## წითელი არმია ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის კარებთან.

დიდი დანაკლისი ხვდა წილად წითელ არმიას ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლის დასასრულში.

ოქტომბრის გამარჯვების სიხარული და ზეიმი უერთდება წუხარებასა და ნაღველს წითელ არმიის ძვირფას, საყვარელ მებრძოლ ამხანაგისა და ბელადის დაკარგვის გამო.

მოგონებანი პროლეტარიატის გამარჯვებისა ოქტომბრის დღეებში და სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გმირული ბრძოლის შემდეგი წლების შესახებ უკავშირდებიან გულის მომწყვლელ ფიქრებს ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

მაგრამ არ არსებობს ისეთი დანაკლისი, რომელსაც შეეძლოს შეარყიოს მშრომელთა განთავისუფლების საქმისადმი თავდადება, წითელი არმიის ვაჟკაცობა და საბრძოლო ძლიერება.

რაც სასტიკი არ უნდა ყოფილიყო დანაკლისი ის უფრო ამაგრებდა და ამაგრებს მუშურ-გლეხური შეიარაღებულ მასების რიგებს, როგორც დღეს, როცა ჩვენ გადავდივართ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს არსებობის მე-9 წელში ისეთი დანაკლისით, როგორიცაა მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზეს გარდაცვალება.

მუშურ-გლეხური არმია გამოიბრძმედა სამოქალაქო ომის ბრძოლის ველებზე. მშვიდობიან ცხოვრების წლებში ის საფუძვლიანად სწავლობდა, თუ როგორ ეწარმოებია თავდადებული ბრძოლა ჩვენს კლასობრივ მტრებთან ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მუშურ-გლეხური მასების მხრივ ნაკლები მსხვერპლის გაღებით, თუ რომ მტრები შეეცდებოდენ ჩვენი მშვიდობიანი არსებობის კვლავ დარღვევას.

წითელი არმიის საბრძოლო ძლიერება გაიზარდა განსაკუთრებით უკანასკნელ ორ წელში, თავისი ბელადის, განსვენებული ფრუნზეს მტკიცე და ნიჭიერი ხელმძღვანელობის მეთაურობით.

რა ფიქრებითა და ამოცანებით გადადის წითელი არმია ოქტომბრის მე-9 წელში?

პირველ ყოვლისა—რა ძლიერ ღონესა და ძლიერებასაც არ უნდა ვგრძნობდეთ ჩვენ ჩვენს რიგებში, პირველ ჩვენ ამოცანას უნდა შეადგენდეს ჩვენი არმიის კიდევ უკეთ მომზადება. არმიის რიგებში მოდის ახალი შეკრება. ჩვენ როგორც წესი და რიგია, უნდა ვასწავლოთ იმათ მტრების დამარცხება და აღვზარდოთ მათში უმაღლესი საბრძოლო თვისებანი, როგორც ამას სჩადიოდა ამხ. ფრუნზე აღმოსავლეთ, თურქესტანისა და სამხრეთ ფრონტების მეომართა მიმართ.

უმაღლესი თავდადების გამოჩენა მუშათა და გლეხთა საქმისადმი, გონებისა და ნებისყოფის დაჭიმვა მუშაობის უკეთ ჩასატარებლათ წითელი არმიის მომზადების ყველა დარგში, მტკიცედ ასრულება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის—ლენინისა და წითელი არმიის ბელადის—ფრუნზეს მიერ დატოვებული ანდერძებისა—აი ყველაფერი ის, რითაც წითელი არმია გადადის საბჭოთა კავშირის არსებობის მეცხრე წელში.

ა. კორკი.



ლენინი.

## ლენინი-ოქტომბერი.

(ლექსი პროზად.)

ქვეყანა სისხლით ირწყოდა... აუარებელ ადამიანთა მსხვერპლი ეწირებოდა სიკვდილის ღმერთს.

კიდით-კიდემდე ისმოდა გმინვა, წუხილი...

ისინი კი მაძღარნი, ბატონნი ამა ქვეყნისა, მოკალათებულნი სავარძლებში მადიანათ იცინოდენ:

— იომეთ მონებო! ყოველი წვეთი თქვენი სისხლის ჩვენ ჯიბეში იქცევა ოქროდ. თქვენი ძვლებით ჩვენ ავაშენებთ სასახლეებს.

— ხა! ხა! ხა...

სისხლი იღვროდა.

შიმშილისაგან განაწამები მონები კი, წელში გაწყვეტილნი, ათასობით, ათი ათასობით მიეშურებოდნენ ბრძოლის ველისკენ

და ეწირებოდენ ბატონთა კეთილდღეობას.

მაგრამ,

მოთმინების ძაფი სწყდებოდა,

მონა ვეღარ იტანდა
ტანჯვას,
მონა ვეღარ იტანდა
შიმშილს,
მონა ვეღარ იტანდა
დამცირებას.
და გაისმა მძლავრი ხმა
ლენინის
„შეიარაღდით!“
ეს იყო
ოქტომბერში.

ეს ხმა ელვის სისწრაფით მოედო მთელ სამყაროს.

მილიონთა გულებში ჰპოვა მან გამოძახილი.

და აღსდგა ჩაგრულთა ლეგიონები.

იარაღით ხელში,
ლენინის მეთაურობით
შეუდრეკლად,
თავგანწირვით
ეკვეთნენ მტერს
და... გაიმარჯვეს.
ეს იყო ოქტომბერში.
გაიმარჯვეს
და გამარჯვებულებმა
დაიწყეს შენება
ახალი,
ლამაზი,
ჯერ უნახავ
ქვეყნის.

შრომობენ ყველა, მოაქვთ კირი, აგური...

და თან მღერიან...

ზევიდან მათ დაჰკაშკაშებს
ხუთ ქიმა ვარსკვლავი.

და ახალ შენობის თავზე ამაყად ფრიალებს

დროშა წითელი, რომელზედაც ოქროს ასოებით მოქარგულია

„ლენინი—ოქტომბერი.“

ე. ხუციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რვა წელი.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ხელისუფლების მებაირახტრობა არგუნა პროლეტარიატს, რომელიც მრავალ წლეების განმავლობაში ებრძოდა თავის მტრებს, მემამულეებსა და ბურჟუაზიას. მუშათა კლასმა თავის რიგებში აღზარდა და გამოწვრთნა ისეთი მტკიცე ნებისყოფის რევოლიუციონური პარტია, როგორც კომპარტიაა და ამ პარტიის მეთაურობით მან მოიპოვა ოქტომბრის გამარჯვება.

ოქტომბრის ავტორი და ხელმძღვანელი იყო ამხ. ლენინი. ამხ. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა ოქტომბრის გადატრიალება.

ამ გამარჯვების დღიდგან მშრომელი ხალხის ცხოვრებაში იშლება ახალი ხანა, ხანა მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა საბჭოების სახით.

მართალია, პროლეტარიატსა და გლეხობას იაფათ არ დაჯდომია ხელისუფლების შენარჩუნება. ბევრი მუშების სისხლი დაიღვარა გამარჯვებისათვის, მაგრამ მტერი მაინც ძლეული იქნა.

ამ გამარჯვებას ყოფილი „რევოლიუციონური“ პარტიები აფასებდენ, როგორც დროებითი ხასიათის მოვლენას, მათი „ბრძნული“ წინასწარმეტყველობა გამოიხატებოდა იმაში, რომ გაკიოდენ ყველა გზა-ჯვარედინზე, ბოლშევიკები ვერ გაუძლვებიან სახელმწიფოებრივ მართვა-აღმშენებლობას და ბოლოს მაინც ბურჟუაზიას მოუხდება სახელმწიფოს მართველობაო. მაგრამ რევოლიუციისაგან დაფრთხობილი, კონტრრევოლიუციონური წვრილ ბურჟუაზიული პარტიები მწარეთ მოსტყუვდენ. ისტორიამ სინამდვილის წინ დააყენა ყველა ის ურწმუნო თომები, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდენ ოქტომბრის გამარჯვებას.

დღეს პროლეტარიატის ბელადი—კომუნისტური პარტია დიდის ზეიმით აღნიშნავს, ოქტომბრის არსებობის მერვე წლის თავს.

დღეს მუშურ-გლეხური ხელისუფლება ჯამს უკეთებს თავის ბრწყინვალე მიღწევებს სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში.

დღეს ყოველი მუშა და გლეხი, ყოველი საბჭოთა მოქალაქე გრძნობს ჩვენს ყოველ დღიურ ზრდას და განმტკიცებას.

პროლეტარულმა სახელმწიფომ შექმნა მტკიცე ბიუჯეტი (სახელმწიფო ხარჯები), მრეწველობამ და ტრანსპორტმა მიაღწია ომამდე არსებულ მდგომარეობას, კოოპერატივებით მოფენილია მთელი საბჭოთა ქვეყანა; ელექტროფიკაციის მშენებლობა დიდი ტემპით წინ მიიწევს, შემცირდა სამეურნეო გადასახადი. 25-26 საბიუჯეტო წელში გადადებულია მილიარდ მანეთამდი ფაბრიკების და სასოფლო მეურნეობის გასაძლიერებლად. რომელი ერთი დარგი ჩვენი ცხოვრებისა უნდა დავასახელოთ, რომ მისი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდეს. ჩვენი სახელმწიფოებრივი მშენებლობა და გამტკიცება ძილს უფრთხობს დასავლეთის იმპერიალისტებს. ისინი ათასგვარ საშუალებას მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ ჩვენ წინსვლას. ისინი დღესაც ლამობენ ჩვენს დამარცხებას. მათ შეუძლიათ გამოილაშქრონ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ ეს ძლიერ ძნელი იქნება მათთვის. კარგად დაუკვირდნენ თავის შინაურ მდგომარეობას, უმუშევრობასა და ომებს ყველა ახალშენებში, ჩინეთში, მაროკოში, სირიაში და სხვა. აგრეთვე ინგლისის პროლეტარიატის დაახლოება და კავშირის შეკვრა ჩვენთან. ამას გარდა სხვა და სხვა სახელმწიფოთაგან მუშათა დელეგაციების ჩამოსვლა და მათ მიერ გაცნობა პირველ პროლეტარულ სახელმწიფოისა. ყველა ეს ადასტურებს ერთის მხრივ ჩვენს განმტკიცებას—აღორძინებას და მეორეს მხრივ ჩვენი მტრის სისუსტეს. ჩვენმა მტრებმა ძალიან კარგათ იციან, რომ საბჭოთა მთავრობას ყავს თავისი ერთგული დამცველი წ. არმია, რომლის არსებობა ძილს და მოსვენებას არ აძლევს იმპერიალისტებს. საბჭოთა ხელისუფლება ამაყობს თავის წ. არმიით, რომელიც მოწოდებულია ოქტომბრის რევოლიუციის დასაცავათ და გასამტკიცებლათ. დღეს წ. არმია საკავშირო რესპუბლიკების პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად ზეიმობს ოქტომბრის რევოლიუციის 8 წელს, და მათთან ხელი ხელ ჩაკიდებული რკინის დისციპლინით გამტკიცებული წინ გასწევს შემდეგი გამარჯვებისაკენ.

ს. ლომიძე.



წითელ გვარდიელების რაზმი ოქტომბრის დღეებში.

## ოქტომბრის ფრთებზე

(პირველ დღეთა მოგონება)

ო, რა კარგია ოქტომბრის ანძა,
სად გიჟი დროშა ეშლოდა აფრად;
ბარიკადის თქმა ცას აელანძა
და, ფირუზ თვალზე ევლოთ ალთაბრად...

მებრძოლთ გმირული დარტყმა, შეტევა,
ძველ მსოფლიოზე იბერტყდა კალთას;
ბუდეში, თითქოს, ველარ ეტევა
და იერიშით ილეწდა სალტას...

ყალყზე მდგარ ქალაქს ეცლოდა ჯანყი,
რა დადგა დენთის სურნელოვნება;
მკერდს იდაღავდა ხალხი ნაჯანყი
და ზე იწევდა ამაყი ნება...

ლეგა ქულაჯის წითელ ყურთმაჯას
ცხარზე იგდებდა, ქოჩორ ნაყარი;
ცეცხლი სერავდა აღმართულ მაჯას
და მოიმღერდა შვების მაყარი...

ტყვიამფრქვევის ხმა ქვემეხის მოთქმას,
ასაუბრებდა ალეწილ ქართან;
თოფი ცეკვაში სპობდა მტერთ მოდგმას
და იხატოდა ახალი ქარტა...

ჰმ... დედამიწის ქედ-უდრეკ კანონს:
თავგანწირულნი სისხლით ლეკდენ და
სამყაროს დამღუპს ისროდენ ანონსს
და იქმნებოდა ურჩი ლეგენდა...

ო, სრულდებოდა: ნატვრა, ოცნება,
დროშა სიამით ჰკიოდა ალზე;
თავისუფლება მზით იკოცნება
და ადის ძლევის პიედისტალზე...

სეზმან ერთაწმინდელი.

# ბრძანება
## კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ჯარებისადმი.

№ 451.

ქ. ტფილისი 6 ნოემბერი 1925 წ.

მე-8 წელი საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა—ეს იყო ჩვენი მეურნეობის სწრაფი ზრდის წელი, რომელიც მიდიოდა სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე.

ჩვენი მეურნეობის შემდეგი განვითარება და გაძლიერება მუშებისა და გლეხების მჭიდრო კავშირის საფუძვლებზე საჭიროებს წითელი არმიის მხრივ გაძლიერებულ დაცვას.

იმპერიალისტების ბრძოლა აღმოსავლეთის ხალხთა რევოლიუციონურ ეროვნულ მოძრაობასთან, ლტოლვა საბჭოთა საწინააღმდეგო კავშირის შექმნისაკენ, ახალი მსოფლიო ომის საფრთხე—ყოველივე ეს მოითხოვს ჩვენგან ძლიერი წითელი არმიის შექმნას.

ჩვენს არმიაში მოდის საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან 1903 წელში დაბადებული ახალგაზრდობა.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის რიგებში სხვა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები ამიერკავკასიის მშრომელებთან ძმურ მჭიდრო კავშირში აასრულებენ მეომართა უმაღლეს ვალს თავისუფლებისა და მუშათა და გლეხთა მშვიდობიან შრომის უზრუნველყოფისთვის.

ახალგაზრდა მეომართა ამოცანაა გახდენ ოქტომბრის მონაპოვართა შეუდრეკი დამცველები, ღირსნი იმათი, რომლებიც იბრძოდენ და სწავლობდენ ჩვენი არმიის რიგებში.

ამ წელში ოქტომბრის დღესასწაული ძაძებითაა მოსილი.

ოქტომბრის მერვე წლის თავზე ჩვენ დავკარგეთ წითელი არმიის ძვირფასი მეგობარი მ. ვ. ფრუნზე—წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი, საუკეთესო სამხედრო მეთაური, რევოლიუციის თავდადებული ჯარისკაცი და საუკეთესო ლენინელი.

მერვე წლის თავზე თვითეული წითელი მეომარი უნდა გრძნობდეს, რომ ყოველ საქმეში ის უნდა იყოს ღირსი თავისი გარდაცვლილ ბელადისა.

თვითეულ წითელარმიელმა უნდა აასრულოს ამხ. ფრუნზეს ანდერძები და ამით განამტკიცოს წითელი არმიის ძლიერება.

ამხ. წითელარმიელებო, იყავით ფხიზელ დარაჯებად სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მუშათა და გლეხთა მშვიდობიან შრომის სადარაჯოზე.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს!

გაუმარჯოს სსრკ-ს ყველა ხალხთა მშრომელების ძმობას!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

კწდა რევსამხსაბჭო: კორკი, კარაევი, ლუკაშინი, ორჯონიკიძე, ელიავა, რატნეკი.



ბრძოლა ქუჩაში.

# წითელი არმია და მერვე წლის თავი

ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლისთავი წითელ არმიაში მოცულია ღრმა მწუხარებით. მაგრამ ამ მწუხარებამ არც ერთი წუთით არ ანდა შეასუსტოს ფიქრი წითელი არმიის კოლექტიური როლის შესახებ. ეს იქნებოდა ოქტომბრის საუკეთესო მებრძოლის ხსოვნის შებღალვა.

ოქტომბრის დღესასწაული მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებში ჩატარდება იმ ანდერძების ქვეშ, რომლებიც დასტოვა ოქტომბრის სახელმწიფოს შეიარაღებულ ძილების განსვენებულმა ბელადმა.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მეცხრე წელში წითელი არმია გადავა მტკიცე ნებისყოფით—გაატაროს ცხოვრებაში ეს ანდერძები და გადააქციოს წითელი არმია და ჩვენი ქვეყანა ისეთად, როგორის დანახვაც სურდა განსვენებულ ამხანაგს მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს.

წითელ არმიას თავის აღმშენებლობაში უდიდესი მიღწევები აქვს. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ზრდასთან ერთად იზრდება მისი თავდაცვითი უნარიანობა და შეიარაღებული ძლიერება. ნიშნავს თუ არა ეს წითელი არმიის რიცხვობრივ გადიდებას? სრულებით არა. ჩვენ აქეთ არ მივილტვით, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის მშვიდობიანი აღმშენებლობის ქვეყანაა. ჩვენ ვცდილობთ, რათა თვითეული მუშა, თვითეული გლეხი საკმაოდ მომზადებული იყოს, რომ მან შესძლოს საჭირო დროს თავისი სახელმწიფოს დაცვა.

ჩვენ ვხედავთ საფრთხეებს და მზად ვართ შევხვდეთ შეიარაღებულნი და მერვე წლის თავზე კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ ახრივ, როგორც ჩვენი აღმშენებლობის სხვა დარგებში, ჩვენ საგრძნობი მიღწევები გვაქვს. ამ მიღწევების შესახებ პირველყოვლისა ლაპარაკობს ამხ. ფრუნზეს საუკეთესო პირმშო—წითელი არმიის ტერაღმშენებლობის საქმე და მშრომელთა ჯარის გარეშე მომზადება. ჩვენშიაც, ამიერ-კავკასიაში, სადაც ეს-ეს იყო ამ წელში დაიწყო ამ მხრივ მუშაობა, ტერაღმშენებლობის მიღწევები სავსებით ღირსია მისი ავტორის სახელისა.

ერთის მხრივ მიღწევებმა ტეხნიკის დარგში, მეორეს მხრივ ინტენსიური სამოსწავლო-აღმზრდელობითი მუშაობამ წითელი არმიის ნაწილებში-ყოველივე ამან საგრძნობი შედეგი მოიტანა ამ წელში.

გაძლიერდა საბრძოლო სიმტკიცე, დისციპლინა და ნაწილების პოლიტიკური შეგნება. 1902 წელში დაბადებულთა გაშვებამ მისცა სოფელს მდიდარი ენერგია წითელ არმიაში სკოლა გავლილ გლეხური ახალგაზრდობის სახით. 1902 წლიანი წითელ არმიელი მის წინა მსახურზე მეტი მომზადებული გამოვიდა. ეს არის სოფლის მომავალი მოწინავე, პიონერი საბჭოთა ხელისუფლების ყველა კულტურულ-პოლიტიკურ წამოწყებებში.

წითელი არმიის ამ მოწაფის როლი, რომელსაც დაუსრულებია სწავლება კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ეროვნულ დივიზიებში, ამიერ კავკასიის სოფლებში იქნება არანაკლები, და შეგვიძლია ვსთქვათ, მეტიც იმ როლზე, რომელსაც თამაშობს შევბული-წითელ არმიელი უკანასკნელ წლებში რუსეთის, უკრაინისა და სხვა სოფლებში.

გასულ წელში ამხ. ფრუნზემ მთელი სიგრძე-სიგანით წამოაყენა საკითხი ჩვენს შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობაში, ჩვენი თავდაცვის უნარიანობის გამტკიცებაში,-მთელი ჩვენი საბჭოთა-პარტიულ პროფესიონალურ ორგანიზაციების ჩაბმის შესახებ. პირველი შედეგები უკვე გვაქვს.

წითელი არმიის აღმშენებლობა დაუახლოვდა, მჭიდროდ დაუკავშირდა ჩვენი საბჭოთა, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ქსელს ქალაქში და სოფლად. საბრძოლო მომზადებით და სამხედრო საქმით დაინტერესება ვრცელდება კლუბების, სამხედრო წრეების, სამხედრო—სამეცნიერო საზოგადოებებისა და სხვათა საშუალებით მუშებისა და გლეხების ფართე მასებს შორის.

ფართედ გაიშალა საზოგადოებრივ ნებაყოფლობითი ორგანიზაციების ქსელი, რომელიც მიზნად ისახავს—დაეხმაროს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობაში და ჩააბას და დააინტერესოს ამ საქმით მუშებისა და გლეხების ფართე წრეები.

მთელი სიგრძე-სიგანით ჩვენი კავშირის თავდაცვის საკითხების დაყენება, რომელიც მოგვცა ამხ. ფრუნზემ; პირველი ქვები, რომელიც ჩაჰყარა მან ამ ახალი საქმის საძირკველში; პირველი წარმატებანი და აქედან გამომდინარე ახალ პრაქტიკულ საკითხებისა და ამოცანების მთელი წყება—ყოველივე ეს გვავალებს ჩვენ, ოქტომბრის სახელმწიფოს მომავალ მეცხრე წელში გაძლიერებული ენერგიით დავაწვეთ ამხ. ფრუნზეს მიერ დაწყებულ საქმის გაგრძელებასა და გაღრმავებას, მის მიერ წამოყენებულ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას, შეიარაღებულ მუშურ-გლეხური ხალხის იდეის განხორციელებას.

რატნეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა მეურნეობა

## რევოლიუციის მეცხრე წლისთვის.

მიზანშეწონილი ეკონომიური პოლიტიკით და ძალთა უჩვეულო დაჭიმვით საბჭოთა ქვეყანამ თავი დააღწია ომის მიერ ნაანდერძევ სიღარიბისა და ნგრევის უფსკრულს. და თუ ჩვენ ჯერ სულ ვერ გავთავისუფლდით სიღარიბისაგან, ნგრევაზე ლაპარაკი ხომ არ შეიძლება.

როცა ჩვენ გამოვაცხადეთ „ახალი ეკონომიური პოლიტიკა", ჩვენს წინაშე იდგა შორეული მიზნის სახით—ომამდე არსებული წარმოების დონე. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ომამდე არსებულ მრეწველობასა და სასოფლო-მეურნეობის დონეს ჩვენ მივაღწევდით მხოლოდ მრავალი, მძიმე წლების განმავლობაში.

მაგრამ აი გავიდა ოთხნახევარი წელი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ, ხოლო ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ ომამდე არსებულ წარმოების დონეზე, როგორც რაღაც შორეულზე.

ავიღოთ მრეწველობა. ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობის დასაწყისში მსხვილ სახელმწიფო სამრეწველოს დამუშავების ღირებულება უდრიდა 400—500 მილიონ მანეთს. 1923-24 წელში ის უდრიდა უკვე 2.570 მილიონ მანეთს, 1924-25 წელში—3.950 მილიონ მანეთს, ხოლო 1925-26 წელში დაახლოებით—5.280 მილიონ მანეთს.

წლინახევრის განმავლობაში პროდუქციის (შრომის ნაყოფიერების) ამაღლება შეიძლება მხოლოდ ახლად აშენებულ ქარხნების საშუალებით. და ჩვენ უკვე შევუდექით ახალ აღმშენებლობას.

1925-26 წელში ამ საქმეზე დახარჯულ იქნება 244 მილიონი მანეთი, ხოლო შემდეგში, რასაკვირველია, მეტი.

რაც შეეხება სასოფლო მეურნეობას, მისი პროდუქცია ომამდე არსებულ ფასებთან შეფარდებით ამ-წელში ცოტათი ნაკლებია 1913 წლისაზე: მაშინ საერთო პროდუქცია უდრიდა 11.800 მილიონ მანეთს, ხოლო ამ წელში—10.200 მილიონ მანეთს მართალია, ძალიან გვიშველა მოსავლიანობამ.

მაგრამ შემდეგ წელშიაც, თუ რომ მოსავალი იქნება საშუალო, პროდუქციის რაოდენობა (ფასებში) უფრო აღრე გაიზრდება.

იზრდება სათესი არე იმ მცენარეებისა, რომლებიც უფრო სასარგებლოა, როგორც მაგ. ბამბა, კანაფი,—იზრდება მესაქონლეობა და სხვა.

ამ წელში კარტოფილი, კანაფი, ზეთის თესლები, მწვანილი და ხეხილი უკვე ,მეტა, ვინემ 1913 წელში იყო.

სოფლად სწარმოებს ძველი ფორმების გარდატეხა: ის გადადის მონოპოლიაზე, გაძლიერებით ყიდულობს მანქანებს თვით ტრაქტორებამდი, აძლიერებს კოოპერაციას.

ამასთან შეფარდებით იზრდება ვაჭრობა, სადაც ჩვენ გვაქვს სრულიად სხვა სურათი, ვინემ რევოლიუციამდი იყო: ჩვენში კოოპერაცია ბაზარზე მეტად დიდ როლს თამაშობს, იზრდება და ძლიერდება.

ტრანსპორტიც არ რჩება მთელ სასოფლო მეურნეობას და ამ წელში განზრახული აქვს გადასდოს რემონტისა და მოწყობისათვის მსხვილი თანხა—347 მილიონი მანეთი. ჩვენ ვაშენებთ ახალ გემებს, ვაგებთ ახალ რკინის გზის ხაზებს.

ჩამორჩენილია ჯერჯერობით საგარეო ვაჭრობა. მაგრამ აქაც მრეწველობის და განსაკუთრებით, სასოფლო მეურნეობის ჩქარი ტემპით აღორძინების მეოხებით მოსალოდნელია ამ დარგის გაძლიერებაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქონლის გატანა გაიზრდება ერთ მილიარდ 100 მილიონ მანეთამდი იმ დროს, როცა 1924-25 წელში ის უდრიდა 462 მილიონს.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი შედის თავის მეურნეობის ზრდის ახალ ხანაში. ძველი საშუალებანი უკვე გამოყენებულია, ახალი საშუალებანი იქმნებიან. და რასაკვირველია, ახალი აღმშენებლობა ჰქმნის დიდ გასაქანს ახალი ცხოვრებისათვის.

ქარხნები აგებულ იქნებიან მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და მათში დამუშავდება იაფი და მაღალხარისხოვანი საქონელი.



ლენინი მიტინგზე.

სოფელში გაშვებულ იქნება კარგი მანქანები, მიწის გასანოყიერებელი საშუალება და ინვენტარი.

მეურნეობის აღდგენის საქმე სრულდება. დგება ახალი, ნამდვილი სოციალისტური აღმშენებლობის დრო.

ვ. ს—ი.

# ოქტომბრის რევოლიუცია და მშრომელი ახალგაზრდობა.

დღეს შესრულდა 8 წელიმას შემდეგ, რაც რომ რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელი გლეხობის დახმარებით დაამხო ბურჟუა-მემამულეების ბატონობა. 8 წლის წინად რუსეთის მუშებმა და გლეხებმა სისხლით შეღებეს მოსკოვისა და ლენინგრადის ქუჩები. მედგარი ბრძოლით რუს. მუშათა კლასმა ხელთ აიღო სახელმწიფოებრივი ძალაუფლება და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის სისხლით შეღებილი წითელი დროშა ამაყათ ფრიალებს დღემდე მთელი მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში—საბჭოთა რესპუბლიკებში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი როლი, რომელიც ითამაშა მშრომელმა ახალგაზრდობამ და მათმა ორგანიზაციებმა ოქტომბრის რევოლიუციის დროს. რუსეთის მშრომელ ახალგაზრდობის ორგანიზაციებმა მუშათა კლასთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიიღო აქტიური მონაწილეობა ბრძოლაში ოქტომბრის დღეებში და მანაც მოიპოვა პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება.

ამ ხანებში რუს. მშრომელ ახალგაზრდობის ორგანიზაციები იყო შედარებით მცირე რიცხოვანი და სუსტი. ახალგაზრდობა სწორეთ ამ ხანებში ერკვეოდა და კარგათ ხედავდა მოღალატე სოციალისტების მოქმედებას, რომელიც სულ ერთიანად მიმართული იყო მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის წინააღმდეგ. მშრომელმა ახალგაზრდობამ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ კიდევ იგრძნო ომის საშინელება და ბურჟუა-მემამულეების საშიშროება. ის დაირაზმა ერთ ორგანიზაციაში, ამოუდგა მუშათა კლასს გვერდით და შებრძოლა მოღალატეებს.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ახალგაზრდობამ ამოისუნთქა თავისუფლად. ის განთავისუფლდა იმ ჯოჯოხეთურ პირობებისაგან, რომელშიდაც იყო ის წარსულში, ოქტომბრის რევოლიუციამდე. მშრომელმა ახალგაზრდობამ ამის შემდეგ კარგათ ჩამოაყალიბა თავის ორგანიზაციები კომპარტიის გვერდით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით და დარაზმა რუსეთის მთელი მშრომელი ახალგაზრდობა ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად მსოფლიო მჩაგვრელებისაგან. და მართლაც რუსეთის ახალ. კომკავშირის ორგანიზაციებმა საუკეთესო და ღირსეული დამცველები მისცეს წითელ არმიას და წითელ ფლოტს ოქტომბრის რევოლიუციის დასაცავად. 1917 წელში დაწყებულ სამოქალაქო ომში ახალგაზრდობა წინა რიგში იბრძოდა ყოველთვის მუშებისა და გლეხების მტრების—ბურჟუა-მემამულეების წინააღმდეგ, რომლებიც შეიარაღებული ძალებით და გარეშე სახელმწიფოების დახმარებით ფიქრობდენ რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხებას და კვლავ გაბატონებას მუშათა კლასზე და გლეხობაზე.

სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ რუს. მშრომელი ახალგაზრდობის ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააფართოვეს თავისი რიგები და დაიწყეს პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა თავის წევრებში და უპარტიო მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაში.

ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავზე რუს. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი უკვე მძლავრი ორგანიზაციაა და თავის რიგებში აერთიანებს მუშა და გლეხ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს. ახალგაზრდობა აქ—კომკავშირში იძენს პოლიტიკურ და კულტურულ ცოდნას და მუდამ მზად არის ფხიზლად იდგეს მუშურ-გლეხური ხელისუფლების სადარაჯოზე. რ.ა.ლ.კ. კავშირი ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავზე აერთიანებს 1.500.000 წევრს—მომზადებულ და გამობრძმედილ რევოლიუციონურ არმიას, რომელიც დღევანდელ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის დროს დარაზმულად გამოვა ქუჩებზე, გაიხსენებს ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებს, ჯამს გაუკეთებს გატარებულ მუშაობას დღემდე, კიდევ უფრო შეამჭიდროვებს თავს რიგებს და დარაზმავს მშრომელ ახალგაზრდობას თავის ორგანიზაციაში მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებამდე.

ემი.



წითელი გვარდია შეტევაზე.

# ოქტომბრის წითელი გვარდია-

## მომავალი წითელი არმიის საფუძველია,

საბჭოთა ხელისუფლება ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ სასწრაფოდ შეეკრა ყველა მეომარ ხალხებს დროებით ზავში და გამართა საზავო მოლაპარაკება. ამასთან ერთად ის აწარმოებდა ძველი გახრწნილი არმიის დარჩენილ ნაწილების დემობილიზაციას და აღგენდა ახალ პროლეტარულ შეიარაღებულ ძალას მუშებისა და გლეხების უფრო რევოლიუციონურ ნაწილებისაგან.

და იმ თავითვე, როცა ჯერ კიდევ ის-ის იყო იქმნებოდა პროლეტარიატის ახალი შეიარაღებული ძალა (წითელი გვარდია), შინა კონტრრევოლიუციასთან სამოქალქო ომის საფრთხე თავს დასტრიალდება საბჭოთა სახელმწიფოს.

**გენერლების შემოტევა.**

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ შეტევის მომწყობი იყვნენ ყაზახთა ჯარების მეფის გენერლები კორნილოვი და კრასნოვი. იმათ პირველად წაუძღვენ პიტერზე „ყაზახთა ველურ დივიზიას", რათა დაეცვათ კერენსკის მთავრობა, რომელიც ჩამოაგდო პიტერის აჯანყებულმა მუშებმა გარნიზონის დახმარებით. კორნილოვთან ერთად ყოფილი რუსეთის ყოველ კუთხეში თავი წამოჰყო სულ ახალ-ახალ გენერლებმა და ოფიცრებმა, რომლებიც ახდენდენ აჯანყებებს.

**კონტრრევოლიუციამ გადასჭრა სამხრეთი.**

უკვე 1917 წლის ნოემბერში პურით მდიდარი სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი, დონეცკი და კრივოროჟსკის ნახშირი და ბაქოს ნავთი გადაჭრილი იყო კონტრრევოლიუციონერების მიერ საბჭოთა კავშირისაგან. ცენტრალურ გუბერნიების პროლეტარულ რუსეთს ეს უქადდა შიმშილობით, ხოლო ფაბრიკებსა და ქარხნებს—გაუქმებით. ამ საფრთხის შემუსვრის, კონტრრევოლიუციის ბუდის დანგრევის და საბჭოთა განაპირა ქვეყნების მშრომელთა ახალი უღლისაგან განთავისუფლების სურვილმა წამოაყენა მაშინ საკითხი წითელი გვარდიის შედგენის შესახებ მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე.

**ჩვენი დაბრკოლებანი.**

წითელი გვარდია სუსტად შეკავშირებული, მასთან მცირედ გაწვრთნილი და სამხედრო საქმეში გამოუცდელ მეთაურების ხელმძღვანელობით პირველ ხანებში წარმატებით ასრულებდა თავის ამოცანებს. მაგრამ ეს გაგრძელდა მანამ, სანამ ბრძოლა სწარმოებდა შინა კონტრრევოლიუციასთან.

როგორც კი მოუხდა შეტაკება შეტევაზე გადმოსულ რეგულიარულ საუცხოვოდ გაწვრთნილ და შეიარაღებულ გერმანიის არმიასთან, წითელმა გვარდიამ ვერ გაუძლო და თითქმის ყოველგვარ წინააღმდეგობის გაუწევლად დაიხია უკან, შიგა რუსეთში.

ეს იყო მწვავე კრიტიკული მომენტი საბჭოთა ქვეყნისთვის. საჭირო იყო რეგულიარული კლასობრივი არმიის შედგენა, გაწვრთნა და იმავე დროს მოგერიების წარმოება.

**რეგულიარული წითელი არმია.**

დროებით შესვენება ბრესტის ზავის ჩამოგდების შემდეგ გამოყენებულ იქნა ამ მიმართულებით. სრულიად რუსეთის ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შესდგომოდა რეგულიარული წითელი არმიის შედგენას. პირველ პერიოდში ის, როგორც წითელი გვარდია სდგებოდა მოხალისეებისაგან, მაგრამ უკვე 1918 წლის შუა თვეებში, როცა ფრონტების საქმე გაუარესდა, როცა საფრანგეთმა და ინგლისმა გამოგზავნეს თავიანთი ჯარები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, როცა ჩეხო-სლოვაკების კორპუსი,—რომელიც ღებულობდა მატერიალურ დახმარებას ინგლისელებისა და ფრანგების მიერ,—აჯანყდა,—საკითხი წითელი არმიის შედგენის შესახებ მობილიზაციის სისტემით გახდა ქვეყნის ყოფნა—არ ყოფნის ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად. ყველა, რევოლიუციის დასაცავად—ეს იყო მაშინდელი დროის ლოზუნგი. მშრომელთა მასები გამოეხმაურენ ამას, გაუშვეს არმიაში თავიანთი შვილები და რევოლიუცია გადარჩენილ იქნა.

ვდღესასწაულობთ რა დღეს ოქტომბრის მე-8 წლის თავს, არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ რევოლიუციის ის მძიმე დღეები, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ წითელი გვარდია საძირკველი იყო დღევანდელი წითელი არმიისა.

ი. გ—ი.

# წითელი ჯარი—ოქტომბრის დღესასწაულზე.

## ახალწვეულები ოქტომბრის 8 წ. თავზე.

თბილისი.

შემოდგომა.

სამაზრო საკრებულოსთან ირევა უამრავი ხალხი.

ეზო სავსეა ახალგაზრდებით: გაჩაღებულია ლეკური.

სოფლელი ტალიკა ბიჭი ქოჩრიანი ეჯიბრება თამაშობაში ყვითელ ფეხსაცმელებში გამოწყობილ „ქალაქელს“. მეორე კუთხეში სალამურზე დამღერის შაირებს ახალგაზრდა და აცინებს მაყურებლებს მოსწრებული სიტყვებით.

— დედი! წადი სახლში, მე არა მიშავს—რა, ხომ ხედავ რა ამბავია აქა. ვანუას უთხარი ჭკვიანად იყვეს და საქონელს გაუფრთხილდეს—არიგებს ერთი ახალგაზრდა თავის დედას.

— აი, გამოვეწყობი ახალტანისამოსში, შევისწავლი წერა-კითხვას და ისე ვეწვევი სოფელს, მაშინ ნახე ჩვენი გოგოების ამბავი—ისმის მეორე მხარეზე.

ლენინის კუთხეში ხალხი ბლომად ირევა.

ზოგი წიგნს ათვალიერებს, ზოგი გაზეთს კითხულობს, ზოგი(ც) მისჩერებია კედელზე გაკრულ პლაკატს და უნდა გამოიცნოს მისი აზრი.

ყველა მხიარულია. არავის ეზარება ჯარში წასვლა.

იციან, რომ წითელი ყაზარმა—ეს უდიდესი სკოლაა, სადაც იწვრთნება მოქალაქე და იძ(ე)ნს საჭირო ცოდნას ცხოვრების მოსაწყობად.

დიახ! ოქტომბრის რევოლიუციის მე-8-ე წლის თავზე მხიარულად მოდიან წითელყაზარმაში 1903 წელში დაბადებულები, რომლებიც მამაცად დაიცავენ ოქტომბრის მონაპოვარს. წითელი ყაზარმა მათ ასწავლის თუ როგორ უნდა დავიცვათ ლენინის ანდერძები და როგორი გუშაგები უნდა ვიქნეთ მშრომელი ხალხის ხელისუფლებისა.

ე. ხ—ი.

## წითელ არმიელო, გაავრცელე ოქტომბრის იდეები სოფლად.

სოფლის საუკეთესო შვილები დღეს წითელ არმიის რიგებში იმყოფებიან და წითელ ყაზარმაში დღესასწაულობენ ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავს. ყოველგვარი გაზეთები, ლოზუნგები, საუბრები და წიგნები აძლევენ წითელ არმიელს საშუალებას უდიდეს პროლეტარულ რევოლიუციის ისტორიის ყოველმხრივად შესწავლისათვის.

დღეს წითელი არმიელის წინაშე მრავალი ამოცანები სდგას. გარდა სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნის შეძენისა წითელ არმიელის ერთ-ერთ საპატიო ამოცანას წარმოადგენს—სათანადოთ მოემზადოს სოფლად მუშაობის ახალ ცხოვრების შესაქმნელად.

გავლენა სოფელზე უნდა დაიწყოს წ(ი)თელ-არმიელმა ეხლავე წითელ არმიის რიგებიდან. ის უშუალო კავშირი, რომელიც ამ ჟამად წითელ არმიელს აქვს დაჭერილი სოფელთან სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული ოქტომბრის რევოლიუციის დიად იდეების გავრცელებისათვის სოფლად.

უმთავრესი მნიშვნელობა ამ საქმეში აქვს წითელ არმიელების წერილებს.

ოქტომრბის რევოლიუციის 8 წლის თავის აღსანიშნავად განსაკუთრებული წერილი უნდა იწერებოდეს არა მარტო თვითეულ წითელ არმიელის მიერ, არამედ სასურველ ნაყოფს მოგვცემს აგრეთვე, კოლექტიურად სამაგალითო წერილების წერა, მსურველ წითელ არმიელებისაგან შემდგარ მცირერიცხოვან ჯგუფებში, პოლიტხელის ან ლენკუთხის აქტიურ მომუშავის ხელმძღვანელობის ქვეშ. ასეთი სანიმუშო წერილები უნდა დაეგზავნოს სოფლის კედლის გაზეთებს, სადაც ასეთები არსებობენ.

აღნიშნულ წერილებში უნდა იქნეს გაშუქებული არა მარტო ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა მშრომელ ხალხისათვის, არამედ აგრეთვე ის, თუ როგორ ჩატარდა ოქტომბრის დღეები წითელ-ყაზარმაში.

მეორე მხრივ ყოველივე წერილების საშუალებით სოფლიდან მიღებული ცნობები ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის იქ ჩატარების შესახებ უნდა თავსდებოდეს თვით წითელ არმიელების მიერ არა მარტო სამხედრო ნაწილის კედლის გაზეთში, არამედ „წითელ არმიელში“-აც, რაც მოგვცემს ჩვენ საშუალებას გაუკეთოთ სათანადო დასკვნა იმას, თუ როგორი ნაბიჯით მიდის დღეს სოფელი წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

ი. რუდოვსკი.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

8 ნოემბერს ოქტომბრის დღესასწაულის 8 წლის თავის აღსანიშნავად მე-2 არტ-ლეგიონის მიერ არმიის და ფლოტის ბაღში ჩატარებულ იქნება სალამო. ზემო დასახელებულ ნაწილის ბიურო-კოლექტივი აცხადებს ყველა მე-2 საარტლეგიონის თბილისში მდგომ ცვალებად შემადგენლობის საყურადღებოდ, რომ დაესწრონ ოქტომბრის 8 წლის თავის აღსანიშნავ სალამოს.

სამხკომი ბარამიძე. ბ. ქ. მდივანი ლეჟავა.

## მერვე წლის თავზე.

დღეს დაიბადა მშრომელი
ტანჯვა ვაებით ნაწრთობი
მშრომელ სამეფოს დასცქერის
წითელ ოქტომბრის მნათობი.

* * *

ჩვენი საბჭოთა ქვეყანა
არის მშრომელთა ტრფიალი,
დღეს ზეიმია ყველგანა,
შრომის დროშების ფრიალი.

* * *

ჩვენ გვიმზერს გულის ფანცქალით
ხუნდებ გაყრილი—აზია,
დღეს შიშისაგან კანკალებს
ევროპის ბურჟუაზია.

* * *

დღეს ჯამს უკეთებს მშრომელი
თავის შრომას მერვე წლის თავზე.
და მტკიცე ფიცს სდებს ყოველი
დიდი ბელადის საფლავზე.

დ. ხაზალია.

## მისალმება მე-2 ქ. მს. დივიზიის და პოლიტ-განყოფილების უფროსებს.

მესანგრე და საკავშირო ასეულების ძირედი შემადგენლობის წითელი არმიელები, რომლებიც მიდიან უვადო შვებულებაში, გიძღვნით მხედრული სიყვარულით აღსავსე სალამს და გისურვებთ დღეგრძელობას. ჩვენ ვსტოვებთ რა დროებით წითელ ჯარის რიგებს, ვიძლევით ურყევ სიტყვებს, რომ მტკიცეთ შევასრულებთ ამოცანებს, რომელიც ჩვენ გვაწევს შვებულებაში წასვლის შემდეგ. საჭირო დროს მყისვე გამოვეშურებით ჩვენ საყვარელ წითელ ჯარის რიგებში მუშათა ინტერესების დასაცავათ.

ვაშა თქვენ.

გაუმარჯოს წითელ არმიას! გაუმარჯოს კომპარტიას!

კრების პრეზიდიუმი.

## მტკიცედ რევოლიუციის სადარაჯოზე.

### პირველი ლეგიონი.

ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავი აღინიშნება მუშურ-გლეხური სახელმწიფოს უდიდესი მიღწევებით ეკონომიურ, კულტურულ და სხვა ფრონტებზე. რაც დრო გადის თანდათან უფრო ძლიერდება საბჭოთა კავშირი, მტკიცდება ძლევამოსილი წითელი არმიის რიგები, რომელიც დღეს უფრო მაღლა ასწევს მსოფლიო მუშათა კლასის განთავისუფლების დროშას.

ოქტომბრის 8 წლის თავს განსაკუთრებული სიხარულით და აღფრთოვანებით ეგებება წითელი ყაზარმა, რომელიც ახლად მოსულ ამხანაგებს, ახალწვეულებს გააცნობს, თუ როგორი მწარე დღეები, სისხლიანი დრო გამოიარა, რამდენი მტარვალები დაამარცხა წითელმა არმიამ და 8 წლის თავზე გამარჯვებით მოიტანა კომუნისტური დროშა. დღეს მტკიცეთ ვირაზმებით ამ დიადი დროშის ქვეშ და ფიცს ვსდებთ, მსოფლიო მუშათა კლასის, დიდი ბელადის ხსოვნისა და კომუნისტური პარტიის წინაშე, რომ ეს დროშა მრავალი, თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლში გაბანილი მტკიცედ გვექნება ხელში და მედგრად წავალთ მსოფლიო ოქტომბრის განსახორციელებლად.

აი ჩვენი სიტყვა დიდი ოქტომბრის 8-წლის თავზე.

სამხკომი ჯიშკარიანი.

## ჩვენი სიმტკიცე ჩვენი გამარჯვების საწინდარია.

იყო დრო, როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება საეჭვო იყო. შიმშილი, აუარება მტრები, ეკონომიური განადგურება და მრავალი სხვა, დიდი იმედებს ულვიძებდა ჩვენს მტრებს და ცოფმორეული გვეკვეთენ ყოველი მხრიდან. ყოველი ადლი მიწის აღება მრავალი გმირებს აკლებდა რუსეთის მუშათა კლასს.

საოცნებო მამულის მოპოების სურვილით აღჭურვილი წითელი ლეგიონები მაინც არ უშინდებოდენ აუწერელ გაჭირებას და ხშირად მეოთხედ გირვანქა პურზე გადავლით განაგრძობდენ შავი ძალების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას. მათ ასულდგმულებდათ მომავალი, მშრომელი ხალხის განთავისუფლების იდეა.

დიდი ბრძოლის მერვე წლის თავზე ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კავშირის მუშების ამ შეუპოვარი ბრძოლის ნაყოფს.

დღეს უფრო იმედიანად უყურებთ მომავალს და ჩქარა დადგება ის დრო, როდესაც მთელ მსოფლიოში აგუგუნდება საოქტომბრო, მშრომელთა განთავისუფლების და ძლევის მარში.

დღეს კომუნისტური დროშის ქვეშ დარაზმული ოქტომბრის მონაპოვართა ფხიზელი გუშაგი წითელი არმია სალამს აძლევს თავის მოძმე მუშებსა და გლეხებს და ფიცს სდებს, რომ ის მზად არის მთელ მსოფლიოში დაამსხვრიოს მონობის უღელი.

სამხკორი კ. ზოიძე.

## ოქტომბრის რვა წლის თავი და ავიოქიმი.

დღეს საბჭოთა ხელისუფლება, ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების მერვე წლის თავზე, ხაზგასმით აღნიშნავს სხვა მიღწევებთან ერთად ავიაციისა და სამხედრო და სამრეწველო ქიმიის ფართო განვითარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირში საჰაერო ფლოტის და ქიმიის საზოგადოება „ხელმძღვანელობს.

საჰაერო ფლოტის და ქიმიის მეგობართა საზოგადოებას, რომლის წევრთა რიცხვი სამ მილიონს აღემატება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ყველა ქალაქებში მოეპოვება თავისი განყოფილება. რუსეთში 17 მაზრაში 3.000 უბანზე მოახდინა ამ საზოგადოებამ მიწის ნიადაგის განოყიერება, კალიისაგან განადგურებას ააშორა 483.000 დესეტინა პურით დათესილი მიწა, დაიცვა ვილის თაგვიდან 1.300.000 დესეტინა და მატლისაგან ოთხი მილ. 700.000 ფუთი პურის მარცვალი; ყოველივე ამის გარდა ჩვენმა ახალ საზოგადოებამ აალორძინა მშვიდობიანი ქიმიური წარმოება, სახელდობრ, დანგრეული ქიმიური საღებავი ქარხნები აამუშავა და მრავალიც ახალი ააგო.

ამერიკის განთქმული ედჯვუდის ქიმიის არსენალი, თავის სიძლიერით ემუქრება მსოფლიოს მშვიდობიანობის წინააღმდეგ, ჩვენი „ავიოქიმის“ საზოგადოება კი უმთავრესად უარყ(ო)ფ(ს) მშვიდობიან მიზნებს ემსახურება. ის ცდილობს მშვიდობიანი ქიმიური წარმოების აყვავებას იმდენად, რომ მშვიდობიანობის დროს გამოვიყენოთ ავიაცია და ქიმია სასოფლო სამეურნეო დარგში და ომის დროს კი შევსძლოთ თავდამსხმელ მტრის მოგერიება.

რევოლიუციის ბელადის ამხ. ლენინის ლოზუნგის „პირით სოფლისაკენ“ განხორციელებას გაგვიადვილებს თუ შევსძლებთ ჩვენი გლეხის ჩაბმას ჩვენს ნორჩ საზოგადოების მუშაობაში და ის კი მასში ჩაებმება მაშინ, როდესაც შეხედავს ამ საზოგადოებისაგან რაიმე სარგებლობას, ამისათვის საჭიროა, რომ რაც შეიძლება მალე მივაწვდინოთ ჩვენს გლეხს მიწის გასანოყიერებლად ქიმიური ნაწარმოები, რასაც ახლო მომავალში შესძლებს საქართველოს „ავიოქიმიის“ საზოგადოების საბჭო, მშრომელთა ფართო წრეების ენერგიულ დახმარებით.

ყოველი შეგნებული მოქალაქე, განსაკუთრებით წითელი არმიელი, რომელიც მიდის სოფლად შვებულებაში ვალდებულია დაუმტკიცოს ჩვენს გლეხობას ჩვენი საზოგადოების გაძლიერების აუცილებლობა, აუხსნას მას თუ რა მიზანი აქვს მას და რის გაკეთება შეუძლია გლეხის მეურნეობისათვის.

ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი ოქტომბრის მე-9 წლის განმავლობაში გაასკეცებულ ენერგიით უნდა შეუდგეს „ავიოქიმის“ საზოგადოების მუშაობაში, რომ მე 9 წლის დამლევს საბჭოთა ავიაცია და ქიმ—მრეწველობა არავითარ შემთხვევაში არ ჩამოუვარდეს იმპერიალისტების ავიაციას და ტეხნიკას.

ნ. გამრეკლიძე.

## ემზადე ახალ წვეულის მიღებისთვის.

თუ ჩაუკვირდებით ახალწვეულთა მიღებას წარსულში და გავითვალისწინებთ იმ მუშაობას, რომლის წარმოებაც ჩვენ გვიხდებოდა ახალწვეულებთან, აღმოვაჩენთ ერთგვარ შეცდომათა მთელ რიგს მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მუშაობაში.

ახალწვეულთა მიღების მუშაობაში დაშვებულ შეცდომათა რიცხვს ეკუთვნის მეომრის ცხოვრების არც სწორი გაშუქება არმიაში და ლტოლვა მოაჩვენო ყველაფერი უკეთესად, ვინემ სინამდვილეშია. მართალია ამბობენ, რომ პირველ შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის სწრაფადვე ჰქრება, ხოლო ხშირად, როცა მეომარი შეხვდება არმიის ცხოვრებაში ისეთ მოვლენას, რომელსაც მას უხატავდენ სულ სხვანაირად, მაშინ მასში იზადება იჭვი, უნდობლობა ხელმძღვანელ—მეთაურთა და პოლიტშემადგენლობისადმი, რაიც, უეჭველია დიდ გავლენას მოახდენს სწავლებაზე.

რომ თავიდან ავიშოროთ ასეთი მოვლენები, საჭიროა მეთაურთა და პოლიტშემადგენლობამ წინასწარ დაამუშაოს ყველა საკითხები. რომლებიც დაკავშირებულია ახალწვეულთა მიღებასთან, შეთანხმდენ ერთმანეთში, შეადგინონ მუშაობის გეგმა ახალწვეულთა მოსვლის პირველ დღისთვის და ერთხელ და სამუდამოდ მოსპონ საუბარი „თაშლიან მდინარეების“ შესახებ. იმავე დროს არ უნდა მიჰქმალონ ის სიძნელენი, რომლის გადალახვაც მოუწევს ახალწვეულებს. მიღებულ უნდა იქნას როგორც წესი: ელაპარაკო, მოუთხრო და, თუ შესაძლებელია თვალსაჩინოდ უნდა აჩვენო ყველაფერი ის, რაც სინამდვილეშია და რაც შეხვდება ახალწვეულს მთელი თავის სამსახურის განმავლობაში.

განსაკუთრებით საჭიროა პირველ დღეებიდანვე დაწვრილებით აუხსნა ახალგაზრდა—მომავალ მეომარს წესრიგი, რომელიც დაცულ უნდა იქნას ყოველი სამხედრო მსახურის მიერ წითელ არმიაში, რა და რა ამოცანა დგას თვითეული მეომრის, მეთაურის და მთელი წითელი არმიის წინაშე, როგორი უნდა იყოს ახალწვეულის დამოკიდებულება მომავალ სწავლებისადმი და, ბოლოს, როგორი უნდა იყოს ერთის მხრივ მეომრებს შორის ურთიერთობა და მეორეს მხრივ მეომარსა და მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას შორის.

ამასთან საუკეთესო ხერხი ზემოაღნიშნულ ამოცანების სწრაფად შესათვისებლად—ეს არის თვით მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის პირადი მაგალითი და ამხანაგური საუბარი. ამიტომ კარანტინში ყოფნის დროს ახალწვეული უნდა დაიახლოვო, დააინტერესო და არც ერთი წუთით არ დასტოვო „თავის ამარა“.

ახალწვეულის მიღების ასეთი დაყენება უსათუოდ სასურველ შედეგს მოიტანს და მისი შემდეგი მეცადინეობა წარმატებიანი იქნება. ი. ბარ.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.